№ 265

ოთხშაბათი, 8 დეკემბერი 1893

გაზეთი ღირს:

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

1877—1893

# ივერია

№ 265

ოთხშაბათი, 8 დეკემბერი 1893

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად: უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას—სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი 8 კაპეიკი.

„ივერია“

გამოვა 1894 წელსაც

იმავე პროგრამით, როგორც წინად.

გაზეთის დაბარება შეიძლება შემდეგის ადრესით:

ტფილისი,

„ივერიის“ რედაქციას

ნიკოლოოზის ქუჩა, 21.

და „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრც. საზოგადოების კანცელარიას, სასახლის ქუჩა, ბანკის ქარვასლა.

საფოსტო ადრესი:

ТИФЛИСЪ. Редакція „ИВЕРІА“.

**წერილები და კორესპონდენციები** უნდა იგზავნებოდეს მხოლოდ რედაქციის სახელზედ.

ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 8 დეკემბერს,

25 წლის იუბილეის ბენეფისი

ბ. ა. ავალიშვილისა

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ

წარმოდგენილი იქნება:

გლახაკნი სულითი

დრ. 4 მოქ. პოტეხინისა, თარგ. ნიკიტინისა

მონაწილეობას მიიღებენ: ქქ. ავალიშვილისა, ყიფიანისა, მაქსიმიძისა; ბბ. აბაშიძე, ყიფიანი, მესხიშვილი, გუნია და სხ.

ადგილების ფასი საბენეფისოა

დასაწყისი სწორედ $7^1/_2$ საათზედ

**წლიური საზოგადო კრება**

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების“ წევრთა, თანახმად საზოგადოების წესდების მე 11 §-ისა, დანიშნულია ქრისტეშობისთვის 19, დილის 10 საათზე სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში. კრებამ უნდა განიხილოს შემდეგი საგნები:

ა, ანგარიში საზოგადოების გამგეობის მოქმედებისა 1 ენკენისთვითგან 1892 წ. 1 ენკენისთვემდე 1893 წლისა, ბ, მოხსენება სავარაუდო ხარჯთ-აღრიცხვის შესახებ $18^{93}/_{94}$ წლისა ივის, გ, მოხსენება სარევიზიო კომისიისა წარსულის $18^{91}/^{92}$ წლის ანგარიშის შესახებ, დ, მოხსენება გამგეობისა საზოგადოების საქმეთა წარმოების შესახებ, და ე, არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა.

(4—2)

ზედამხედველი კომიტეტი მიხეილის სათავად-აზნაურო საადგილმამულო ბანკისა ქუთაისში აცხადებს, რომ კომიტეტის თავს-მჯდომარის განკარგულება ამავე ბანკის წევრთა საზოგადო კრების მოსაწვევად, როგორც წინააღმდეგი წესდების 79§-ისა, ბატონმა ფინანსთა მინისტრმა სცნო უწესო განკარგულებად, და ამისგამო დეკემბრისათვის დანიშნული კრება გაუქმებულ იქმნა.

კომიტეტის თავსმ-ჯდომარე თავადი ალ. წულუკიძე, წევრი კომიტეტისა ლ. ლოლუა.

# ახალი ამბავი

*** დღეს დანიშნულია ქართულ თეატრში კნ. ბ. ავალიშვილის ბენეფისი და საიუბილეო დღესასწაული მისის 25 წლის მოღვაწეობისა. იმედია, ქართველი საზოგადოება ბლომად დაესწრება ამ დამსახურებულის არტისტის ქალის წარმოდგენას. არდგენენ პოტეხინის პიესას «ღატაკნი სულითა“. მონაწილეობას იღებს მთელი დასი. უმთავრესი როლები განაწილებულია თვით მობენეფისესა, კ. ყიფიანსა, ვლ. ალექსი-მესხიშვილსა, ვ. აბაშიძსა და სხვათა შორის. მეორე მოქმედების შემდეგ მობენეფისეს მისის 25 წლის მოღვაწეობისათვის ქართულ სცენაზედ პატივსასცემენ ქართული, რუსული, სომხური დასები და სხვანი. უეჭველია, ქართულის თეატრის დარბაზში თავს მოიყრის მთელი ქართველი საზოგადოება და დააჯილდოვებს არტისტს თავისის თანაგრძნობით.

*** კვირას, 19 დეკემბერს, „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ სასარგებლოდ „ტფილისის საზრანიაში“ გაიმართება კონცერტი, რომელშიაც მიიღებენ მონაწილეობას: ქ-ნნი მ. ძნელაძისა, რჩეულიშვილისა, თხორჟევსკისაძ ბბ-ნი ვასილიევი (სკრიპკის დამკვრელი), მაქსიმოვი (პიანისტი), სარაჯიშვილი (ვიოლონჩელისტი), პახომოვი, ალექსი-მესხიშვილი და სხვანი. კონცერტის პროგრამმა მეტად მშვენიერად და ლამაზად არის შედგენილი, და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს კონცერტიც, ჩვეულებისამებრ, დიდს საზოგადოებას მიიზიდავს.

*** 11 დეკემბერს, საღამოს 8 საათზედ, ტფილისის ოლქის სასამართლოს დარბაზში დანიშნულია კრება კავკასიის იურიდიულ საზოგადოების წევრთა. კრებას ექმნება სჯა სხვადა-სხვა საზოგადოების შესახებს საადმინისტრაციო საგნებზედ და შემდეგ შეუდგება „საზოგადოე^ის“ მოხელეთა არჩევანს $189^3/_4$ წლისთვის. წესდების მე-65 პარაგრაფის ძალით, რამდენიც უნდა დაესწროს წევრი საზოგადოებისა ამ კრებას, არჩევანები მაინც უნდა მოხდეს.

დასასრულ კრება მოისმენს საზოგადოების წევრის ვ. ა. ხლებნიკოვისას: О судебномъ сословіи. კრებაზედ არა წევრთაც შეუძლიანთ დაესწრნენ.

*** „ქართველთა წიგნების გამომცემელი ამხანაგობა“ შესდგომია ჩვენის მხცოვანის პოეტის თ. რაფ. ერისთავის თხზულებათა ბეჭდვას. ჯერჯერობით დაუწყვია ბეჭდვა მის თხზულებათა პირველ ტომისა; ამ ტომში იქმნება მოქცეული ორივე ტომი ლექსთა კრებისა, რომელიც დაიბეჭდა ერთი—1882 წელს ბ-ნნთ არ. კალანდაძისა და ალ. დრევიჩის მიერ და მეორეც—1890 წელს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ მიერ. ეს ტომი, იმედი აქვთ, მომავალ წლამდე მზად იქმნება გასასყიდად. ლექსებიც შეუცვლელად იბეჭდება. წიგნს ჩართული ექმნება ავტორის სურათი, რომლის ამოჭრა შეკვეთილი აქვს ლეიფციხში ცნობილ გრავიორ გედანს.

*** ამას წინად დელეგატმა პაშკევიჩმა საჩივარი შეიტანა ქალაქის გამგეობაში, რომ ბელგიელთა უსახელო საზოგადოება ძალიან ცუდად ინახავს თავის გზის ლიანდაგებს და ვაგონებსაო. ეხლა ჩვენ გვატყობინებენ, რომ ქალაქის გამგეობას განუხილავს ეს საჩივარი და დაუდგენია, სხვათა შორის, შემდეგი: ვთხოვოთ ბ-ნს ტფილისის გუბერნატორს, რომ რევიზია დანიშნოს მცოდნე კაცებისა და მიანდოს ამ კომისიას გასინჯვა უსახელო საზოგადოების ცხენებისა. კომისიაში უნდა იყვნენ, სხვათა შორის, თვით დელეგატი ქალაქისა და აგრედვე გამგეობის ბეითალი.

*** ჩვენ მოგვივიდა ბ-ნ ვალერიან გუნიას მიერ შედგენილი პაწია „საოჯახო კედლის“ კალენდარი 1894 წლისა. კალენდარი ძალიან ლამაზად არის გამოცემული. დასაწყისში მოქცეულია სამზარეულო ცნობები, შემდეგ ყოველს ფურცელზედ თითო თვის საკალენდარო ცნობებია მოთავსებული ორ-წვერად. ცალს მხარეს დღეები დაყოფილია რიცხვების თანახმად, ასე, რომ შეიძლება შეტყობა, რომელ დღე ამა თუ იმ თვის რომელს რიცხვებში მოდის; მეორეს მხარეს ნუსხა ყოველის დღისა წმიდათა ნუსხითურთ. კალენდარი სულ 32 გვერდს შეიცავს, ლამაზს სქელს დასურათებულს ქაღალდზედ არის მიწებებული და ჰღირს ერთი აბაზი.

*** ამ ბოლოს დროს ჩვენს რკინის გზაზედ რაღაც ხშირად იგლიჯება მატარებლების ჯაჭვები. ამ თვის 6-ს, კვირას, ორგან მოხდა ესეთი ამბავი: ერთი ბაქოს მხარეს, ათბულახის სადგურზედ, და მეორეც—ქსანსა და მცხეთას შუა. ათბულახში თვით სადგურზედ, დილის ხუთ საათზედ, ისე დასწია მემაშინემ ორთქლმავალი, რომ მატარებელი ორად გაჰგლიჯა, რვა ვაგონი, ნავთით დატვირთული, სადგურზედ დაუტოვებია და თვითონ-კი გასდგომია გზასა. რამდენისამე ხნის შემდეგ მატარებელი უკან მობრუნებულა და ისევ წაუღია თან დატოვებული ვაგონები, ერთის ნავთით სავსე ქვაბის გარდა, რომელსაც თურმე ღერძი გაჰფუჭებოდა და ამიტომ ვერ შესძლებდა სვლასა.

მცხეთასა და ქსანს შუა ქალაქიდამ მიმავალი მატარებელი № 42 გაგლეჯილიყო ორად იმ მიზეზისა გამო, რომ გადასაბმელი ჯაჭვები გაწყვეტილიყო. ეს ამბავი ისე მოხდა და იმ დროს, რომ ადვილად მოახერხეს მატარებლის ნაწყვეტის მიტანა სადგურზედ.

# ფელეტონი

## შავი-ქვის ამბავი

გულ-დასმით წავიკითხე ბ-ნ დეკანოზიშვილის სტატია შავი-ქვის შესახებ და ჩემი ყურადღება უმთავრესად მიიპყრო შემდეგმა ადგილმა: „ვინ იყო პირველი შემომღები შავი-ქვისა და მანგანეზის წარმოებისა, ე. ი. ვინ იყო პირველი ბარის დამკვრელი და შემშფოთებელი უძრავის ბუნებისა, ჩვენ არ ვიცით ნამდვილად, რადგან რუსები აწერენ ბარონ-ფონ მერცენფელდს, ქართველები—აკაკი წერეთელს (იხ. კვალი № 34 წერილი დავით ბაქრაძისა), ვიცით მხოლოდ, რომ არც ერთს არ ეკუთვნის ამათში სახელი შავი-ქვის აღმოჩენისა. ამათზე წინად აღწერილი აქვს აბიხს 1858 წელ. ორი შავი-ქვიანი ბექი: ერთი „ბასილის კლდის ძირი“ და მეორე „შაგაურის ბოლო“ თავის მიმოხილვაში... შემდეგ ის ცნობა დამატებულია გამოკვლევით სიმონოვიჩისა, ბაცევიჩისა და საროკინისაგან“. ეს სარჩულ-კუდიანი სიტყვები ჰოლოქურად არის ჩემსკენ გამონატყორცი და მეც იძულებულსა მყოფენ, რომ ვუამბო მკითხველს, თუ როდის და როგორ აიდგა ფეხი ჩვენში შავი-ქვის წარმოებამ..

სამშობლოში რომ დავბრუნდი, რამდენსამე წლის შემდეგ დავრწმუნდი, რომ ჩვენს შრომას ჯეროვანი ნაყოფი ვერ მოჰქონდა და ამის მიზეზი-კი უმთავრესად ჩვენი საზოგადო სიღარიბე იყო, მაგრამ სიღარიბე ფულითი და არა ქონებითი!.. დღესაც იმ აზრზე ვარ და მაშინ კიდევ უფრო მწამდა, რომ სანამ ეს, ჩვენის ქვეყნის ბუნება, არ გამოცვლილა და მიწა-წყალიც ჩვენს ხელშია, ქართველები მდიდრები ვართ, მაგრამ ვერ მოგვიხერხებია, რომ ეს ბუნებითი სიმდიდრე, ეს ქონება, ფულად ვაქციოთ... და ფული ისეთი მანქანაა, რომ უიმისოთ ბრძოლა ცხოვრებაში შეუძლებელი და მოუხერხებელია.—ჩვენი მამა-პაპები შემოსეულ მტრებს ვერ მოიგერებდნენ, გინდ გმირთა-გმირებიც ყოფილიყვნენ, თუ იარაღი არა ჰქონოდათ და ფარ-ხმალი ხელში არა სჭეროდათ!.. დღეს, მართალია, ცხადად შემომსევ მტრებს ვეღარა ვხედავთ, მაგრამ ბრძოლა-კი, როგორც ეკონომიური, ისე პოლიტიკური, მაინც ისევ საჭიროა და ამათი ფარ-ხმალიც ერთი მხოლოდ ფულია!.. სანამ ფული არ გვექნება ქართველებს და სხვისი შემჩერე ვიქნებით, ჩვენ ყოველთვის ხელ-ფეხ შეკრულ მონებად დავრჩებით!.. ვართ კიდეცა!.. და ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ ღვთის მოცემული სიმდიდრე, ქონება, ვერ მოგვიხმარია. სხვა რომ არა იყოს-რა, მარტო ეს ამდენი აუარებელი მადნეულობა, რომელიც ჩვენს ურგებ მთებში იმარხება, საკმაო-კი არა და მეტიც იქნება ჩვენის ქვეყნის გასამდიდრებლად!.. საჭიროა მხოლოდ, რომ ენერგიულად მოჰკიდოს ვინმემ ხელი ერთს რომელსამე მათგანს და შეუდგეს მის წარმოებას. ვინ მოსთვლის მაშინ, რამდენი ქართველი იშოვის ლუკმას ადვილობრივვე პატიოსანის შრომით და რამდენი ნასწავლი ახალ-გაზდა დაუბრუნდება სამშობლოს... იმათგანი, რომელნიც დღეს დღიურ-ლუკმისათვის, ვინ იცის, სადა და სად არ არიან გადაკარგული!.. ასე ვფიქრობდი მე მაშინ და, ტკბილ-ოცნებით გატ`ცებული, გამოუცდელობის წყალობით ხან ქვას ვახლიდი თავს გაბედვით და ხან ხეს!...

ერთხელ სოფელში ვიყავ საზაფხულოდ. მაშინ კიდევ ისევ ბატონყმობა იყო ჩვენში. მამაჩემმა უბძანა მოურავს: «თუ ღმერთი გრწამს, წირქვალული პური არ აურიო სხვა პურებში, არ დამღუპოო!“ მე ამ სიტყვებს ყური მოვკარ, მიზეზი გამოვიკითხე და შევიტყვე, რომ წირქვალული პური თავის თავად, პურად, მსხვილ-მარცვლიანი და კარგია, მაგრამ შავი მიწა თუ შეჰყვა, აღარაფრად აღარ ღირსო!.. ერთი ნამცეცი რომ მოჰყვეს პურში, ისე გაატალახიანებს და ისე გააშავებს, რომ მეტი აღარ შეიძლებაო. მეორე დღესვე წაველი წირქვალში, რომ ადგილობრივ გამესინჯა ის რაღაც შავი, უცნაური, მიწა იყო. მართლაც ვნახე მრავლის უმრავლესი შავი-ქვა, რომელიც უბრალო ქვას არა ჰგვანდა და ხალხიც ქვა გუნდას ანუ მწირ-ქვას ეძახოდა *).

ვიფიქრე, ეგებ სალებაკი იყოს რამე-თქო და რამოდენიმე ნატეხი თან წამოვიღე. ტფილისში რომ ჩაველი,

*) ბ-ნი დეკანოზიშვილი ამბობს: „ამ ლითონს ჩვენში შავ-ქვას ეძახიან და საზღვარ-გარეთ მანგანეზს, და ქვა-გუნდა-კი მწერლობამ გამოიგონაო.“ შემცდარია. შავი-ქვა ახლა დაერქვა და ადრე-კი შავი-ქვა სასაფლაოს ქვას ერქვა და ამ ლითონს-კი ქვა-გუნდასა და მწირ-ქვას ეძახდნენ. აქედგან სოფელსაც წირქვალი ჰქვიან.

*** ტფილისის სადგურზედ ამ თვის ხუთს, საღამოს 9 საათზედ, ვაგონზედ უნდოდა შემხტარიყო ლორიის პოლკში მოსამსახურეს გრიგოლ ნირიკაძეს, მოსხლტა და ვაგონის ქვეშ მოჰყვა. ვაგონმა მარცხენა ფეხი მოჰგლიჯა. დაშავებული იქვე საავადმყოფოში წაიყვანეს.

*** 10 დეკემბრიდგან ამიერ-კავკასის რკინის გზაზე დაიწყება ვაჭრობით გასყიდვა საქონლისა და ნივთებისა, რომელიც არ მოითხოვეს პატრონებმა ექვსის თვის განმავლობაში.

*** ბათუმი: 4 და 6 დეკემბერს გემით მოვიდნენ 1332 ახლად მოკრებილი ჯარის კაცნი, რომელნიც გაჰგზავნეს ტფილისს, აქსტაფას, ქურდამირს და ბაქოს.

*** ბაქო: ნოემბრის განმავლობაში ბაქოდგან გაჰგზავნეს სხვა-და-სხვა ქალაქებში 9707 ვაგონი ნავთი.

*** მცხეთა: 6 დეკემბერს, დილით, 12 საათზედ, როცა მატარებელი № 22 მიუახლოვდა სადგურს, ვაგონიდამ გადმოვარდა კონდუქტორი სტანიშევსკი, რომელსაც ძრიელ დაუშავდა თავი და მარჯვენა მკლავი. დაშავებული ტფილისის რკინის გზის სამკურნალოში გაჰგზავნეს.

*** ტყიბულა: 4 დეკემბერს, მე—17 ვერსზე სახალხო მატარებლის ვაგონს ღერძი გაუტყდა; შიგ მსხდომი ხალხი დიდად დაწიოკდა და ერთ საათს და 48 წუთს იყო გაჩერებული მატარებელი, ვიდრე გააკეთებდნენ გატეხილს ვაგონს.

*** იქიდამვე: 6 დეკემბერს, ნაშუადღევის 3 საათზედ, ვაგონები გადასცდა რკინის გზის ლიანდაგს და ხუთი ვაგონი სრულიად დაიმტვრა. ვაგონებს ქვეშ მოჰყვა კონდუქტორი გერასიმ ხელაძე და საზარლად დაიგლიჯა. ორი კონდუქტორი დაშავდა; დოლიძე და კარპოვიჩი.

*** ქუთაისი: 4 დეკემბერს აქ ხმა მოვიდა, რომ წუხელ დაბა ხონში დაეცნენ ერთს მედუქნეს ვიღაც შეიარაღებულნი ავაზაკნი და 3000 მან. ფული წაართვესო. მდევარი დაედევნა, მაგრამ თოფისა და რევოლვერის სროლა დაუწყეს, ერთი მდევარი დასჭრეს და სხვები უკან გაბრუნესო. შემდეგ სხვები თურმე გამოეკიდნენ ბოქაულის მეთაურობით და აღარ ვიცით, დაეწივნენ თუ არა ავაზაკებსაო. როგორც ამბობენ, მიქელაშვილი და მისი დასი უნდა ყოფილიყოვო.

*** გურია: ნიგოითის საზოგადოებას სთხოვენ, გადაიხადოს ის ფული, რომელიც ერგება ორს ქობულეთელს რკინის-გზის ყარაულობისათვის ჟანდარმის მოკვლის შემდეგ. საზოგადოებამ გადასწყვიტა კრებაზედ, რომ ეგ ფული მარტო ჩვენ არ უნდა გადავიხადოთ, თავად-აზნაურობა და სამღვდელოებაც უნდა დაგვეხმაროსო. ამისი თხოვნა გლეხთა საზოგადოებამ გუბერნატორს მიართვა.

*** ბორჯომი: 4 დეკემბერს ვიღაც ორი კრუა, ჯავახელი, დაეცა თავს ერთს აქაურს მცხოვრებელს და უნდოდათ მოეკლათ. ერთი ხანჯალმოღებული მივარდა სახლის-პატრონს, მაგრამ სახლის პატრონმა მოასწრო და კეტი დასცხო თავში და მერე ქვეშ ამოიდო. მეორე უიარაღო იყო. ჩხუბმა და ბრძოლამ თითქმის ერთს საათს გასტანა. სიკვდილით არავინ მომკვდარა. ბოლოს წივილ-კივილზედ შეიყარა ხალხი და, როგორც იყო, დააშვიდეს მაჩხუბარნი. გამოძიება სწარმოებს.

*** ბათუმი: აქაურს „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ ქართულს სასწავლებელში შარშან მხოლოდ ერთად-ერთი ქართველი მაჰმადიანი მოსწავლე იყო. წრეულს-კი საზოგადოებამ ახალი ხოჯა მოიწვია და ამის წყალობით, 15 ქართველი მაჰმადიანი მოსწავლე კიდევ მოემატა სასწავლებელს. რადგან ეს მოსწავლენი ცოტა გვიან მიებარნენ სასწავლებელს და მოსწავლეებთან შედარებით ჩამორჩენილნი იყვნენ სწავლაში, ამიტომ აქაური მასწავლებელი იძულებული შეიქმნა იმათთვის ცალკე განყოფილება დაეარსებინა. ამ გვარად, ამ ჟამად ბათუმის სასწავლებელში, ოთხის განყოფილების ნაცვლად, როგორც აქამდე იყო, ხუთი განყოფილებაა. ამის გამო საჭირო შეიქმნა მეორე მასწავლებლის მოწვევაც, მაგრამ რადგან „წერა-კითხვის საზოგადოებას“ წრეულს აქ დიდი ხარჯი აქვს, სასწავლებლისათვის სამუდამო შენობას აგებს, ამიტომ, როგორც შევიტყეთ, განზრახვა აქვს მეორე მასწავლებელი ბათუმის სასწავლებლისათვის მხოლოდ დროებით მოიწვიოს, პირველ იანვრიდგან ივნისის გასვლამდე. თუ ღონისძიება გამოსძებნა, «წერა-კითხვის გამავრცელებელს საზოგადოებას» ჰსურს სამუდამოდ მიიწვიოს მეორე მასწავლებელიც.

—

### შეცდომის გასწორება

„ივერიის“ 264 №-ში „ახალ ამბავში“ ქუთაისის ბანკის საზოგადო კრების დანიშვნის შესახებ „ქუთაისის გუბერნატორის“ მაგიერ შეცდომით დაბეჭდილია „ტფილისის გუბერნატორი“ და „20 მარტის“ მაგიერ—„30 მარტი.“

---

## დამაკვირდი

ჯვარის-დაწერა მარტო იდგენ ქალის სილამაზის გულისათვის იგივეა, რაც მამულის ყიდვა მარტო იმიტომ, რომ ვარდია ამ მამულშიო. უკანასკნელს საქციელს მაინც მეტი აზრი ექმნება, რადგან ვარდი ყოველს წლიწადს იშლება და კვლავ იფურჩქნება.

კოცებუ

**

ქვეყანა მხოლოდ მაშინ გახდება ბედნიერი, როდესაც ბრძენნი დაიწყებენ მეფობას, ან მეფენი დაბრძენდებიან.

პლატონი

**

როდესაც პითაგორმა ის თავისი ცნობილი თეორემა აღმოაჩინა, ღმერთებს მსხვერპლად ხარი დაუკლა. მას შემდეგ, აღმოაჩენს თუ არა ვინმე რომელსამე ჭეშმარიტებას, ხარებს შიშის ძრწოლა და განკალი აიტანს ხოლმე.

ბერნე

### შემოწირულობა

რუსთაველის ძეგლის ასაგებ ფონდის სასარგებლოდ ჩემმიერ გამართულ წარსულ 2 ოკტომბერს ქ. თელავს ბალიდამ შემოვიდა: ა) ბილეთების გასყიდვიდამ 76 მან., 65 კაპ. ბ.) ბუფეტიდამ 75 მან., 90 კაპ. სულ 152 მან., 55 კაპ.

ბალის გამართვაზე დაიხარჯა: ა) ყვავილები, ლენტები და სხვა წვრიმალი ხარჯი 4 მან., 85 კ. ბ.) კლუბის ბუფეტის დანახარჯი ანგარიშით 44 მან., 38 კაპ. გ.) ატლასის ჰარკები კანფეტებისთვის და კანფეტები 12 მან., 85 კაპ. დ.) მუზიკა 10 მან., ე.) მარკები 5 25 კაპ. ვ.) ბილეთებისა და განცხადების დასაბეჭდი 3 მან.,—სულ 80 მან., 33 კაპ.

წმინდა შემოსავალი დარჩა 72 მან., 22 კაპ., რომელთაც ამასთანავე გიგზავნით. კეთილი შემთხვევით გამოვუცხადო თქვენის პატივცემულ გაზეთის საშუალებით უღრმესი ჩემი მადლობა: თელავის კლუბის სტარშინებს, რომელთაც კლუბის დარბაზი უსასყიდლოდ დაგვითმეს ბალისთვის, აგრეთვე თ-ვ. კას. გიორგის ძეს ფაყლიშვილს, ბატ. მიხ. ალექსის ძეს ცაცქიევს, მიხ. დავითის ძეს ცისკარიშვილს და ყველა იმათ, რომელთაც შრომა მიიღესამ საქმეზე*).

კნ. ეკატერინე ვეზირიშვილისა

*) ამ ფულისა გვქონდა—342 მ. 42 კ. შესდგა—414 მ. 42 კ.

---

## ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

სოცარს, თითქმის ძნელად დასაჯერებელს ცნობებს იუწყება გაზ. „Русская Жизнь“-ი იმის შესახებ, თუ რა მდგომარეობაშია საექიმო საქმე რუსეთის ზოგიერთს გუბერნიაში.

მთელს სარატოვის გუბერნიაში 1888 წელს სულ 120 ექიმი იყო და ეს რიცხვი-კი რამდენად მცირეა, აშკარად სჩანს იმ გარემოებიდგან, რომ თითო ექიმზედ ზოგიერთს მაზრაში ოთხმოც ათასამდე მცხოვრები მოდის (ჯამში ყოველ 432 კაცისათვის ერთი ექიმია დანიშნული) და მთელს გუბერნიაში ყოველ 2,000 კაცისათვის თითო სავადმყოფო საწოლია გამართული (ჯამში ყოველ 30 კაცისათვის თითო საწოლია გამართული).

ეს ცნობები გაზეთს სარატოვის გუბერნატორის ცირკულიარიდგან ამოუკრეფია...

---

## რუსეთი

—

მთავრობის დაწესებულებათ დასამტკიცებლად წარედგინათ პროექტი წამლისათვის გამოსადეგ მცენარეთა პლანტაციების გამართვის დამხმარებელ საზოგადოების წესდებისა. ტიურინგიასა, საქსონიასა, ბოჰემიასა და სხვა სახელმწიფოებში მცირე მამულის პატრონები შემოსავლის გასაძლიერებლად დიდი ხანია მისდევენ წამლისათვის გამოსადეგ მცენარეულობის თესვას. ერთს ამხანაგობას შეუსწავლია ერლენბურგისა და ფორბახის მიდამოებში მყოფი ბაღები და განზრახვა აქვს ხელი წარუმართოს, ვინც-კი წამლისათვის გამოსადეგ მცენარეულობას გააშენებს. ეს ამბავი ფრიად სასიამოვნოა, რადგან აფთიაქებში დიდ-ძალი უბრალო მცენარე იყიდება, მაგალითებრ პიტნა, ოღონდ კი კარკად იყოს გადარჩეული.

—

სახელმწიფო საბჭოს დეპარტამენტები სულ მოკლე ხანში სხვათა შორის განიხილავენ ბათუმში საქონლის გადატან-გადმოტანას ბაჟი დაადონ ქალაქის სასარგებლოდ.

—

27 ნოემბერს მოსკოვში გარდაიცვალა ცნობილი პროფესორი რუსეთის ლიტერატურის ნიკოლოზ ტიხონრავოვი.

გაზეთი Рус. Вѣд. სწერს პროფესორ ტიხონრავოვის შესახებ: არა მარტო უნივერსიტეტის მსმენელთა, არამედ ვინც-კი ყოფილა რუსეთის ლიტერატურის მოყვარულთა საზოგადოების კრებაზედ, ყველამ კარგად იცის პროფესორის ტიხონრავოვის დიდად ხელოვნური ცოდნა სამეცნიერო სიტყვისა, ძლიერება მის გონებისა და მისი ცოდნა სალიტერატურო და საზოგადო მოვლენათა შორის კავშირისა.

---

## უცხოეთი

—

**ავსტრი-უნგრეთი.** გალიციის პოლონურ გაზეთების სიტყვით, ვენის სამხედრო წრეებში ამ ჟამად იმის გამოა ლაპარაკი ატეხილი, რომ ამ ზამთარს ალლუმი გავმართოდ ავსტრიის ჯარებისა, საჭიროა, რომ ამით მნიშვნელობა მოვაკლოთ რუსეთის სამხედრო სამზადისს საზამთროდაო. უფრო იმასა სცდილობენ, რომ ავსტრიის ცხენოსანს ჯარს იერიშის მიტანა ასწავლონ დათოვლილს მინდვრებზედ.

---

გეოლოგ სიმონოვიჩს ვუჩვენე და მან მითხრა, რომ ეს უბრალო ლითონია, რომელსაც მარგანეცი ჰქვიანო. ეს ლითონი, გაკვრით, აბიხსაცა აქვს მოხსენებული, მაგრამ წირქვალში-კი არა, მხოლოდ „ბასილის კლდის ძირში“ და „შაგაურის ბოლოშიო“. „თუ რამედ გამოსადეგია პრაქტიკულად-მეთქი,“ ვკითხე, და იმან აი რა მიპასუხა: „ჩვენი საქმე თეორიაა, მაგრამ მაინც გეტყვი, რომ მაგას სადღაც საზღვარ-გარეთ, ქარხნებში ჰხმარობენო, მაგრამ დაწვრილებით ვერ გეტყვი: თუ როგორ და რადო?... ამ დღიდან ჩავდექ მეც კვალში და კიდევაც შევიტყვე ადგილობრივ, რომ ეს ქვა-გუნდა ჩართლა მოსახმარი და სასარგებლო ყოფილა. საზღვარ-გარეთ არსებობდა მთელი საზოგადოება, რომელსაც «ტერ-ნუარის» საზოგადოებას ეძახდნენ, და მათი წარმოება წელიწადში რამდენ-სამე მილიონამდე სჭრიდა. აგრეთვე შევიტყვე, რომ იქაური მანგანეზის მადნები, როგორც ღირსებით, ისე რაოდენობით, ბევრად ჩამოურჩებოდა ჩვენს შავი-ქვის მადნებს და მეტოქობას ველარ გაუწევდნენ ჩვენს მადანს, თუ ვინიცობაა აქ წარმოება დაწყებულიყო. ამისათვის-კი საჭირო იყო ჩვენის მადნის სახელის გაკეთება და გამოქვეყნება, რომ ღირსეულად თავი ეჩინა.

დავბრუნდი თუ არა, წავიყვანე სვიმონოვიჩი და გავასინჯვინე ის მადნები. ღმერთმა უშველოს, როდესაც ჩემი აზრი მოისმინა, ისეთი თანაგრძნობა გამომიცხადა, რომ ყოვლის უსასყიდლოდ, გამოიკვლია ის მადნები, როგორც ღირსებისა, ისე რაოდენობის მხრითაც. შეადგინა ბროშიურა (წიგნაკი), სამეცნიერო შენიშვნებით სავსე. ზედ ჩვენი მოსაზრება დავრთეთ პრაქტიკულის მხრივ, თუ რა გვარად შეიძლებოდა ჩვენში შავი-ქვის წარმოება, მუშაობა. რა გზით შეიძლებოდა გატანა და რამდენად? და სხვანი-და-სხვანი. ეს აწერილობა დავაბეჭდვინე პეტერბურგში რუსულ, ფრანგულ, გერმანულ და ინგლისურ ენებზედ და მოვფინეთ ყოველ კუთხით. მაშინ გაიგეს საზღვარ-გარედ, რომ კავკასიაში მანგანეზის მადნები აღმოჩენილა შესანიშნავის ღირსებისა. ეს ამბავი არაფრად ეპიტნავა „ტერ-ნუარის“ საზოგადოებას. მეტოქობის შეეშინდა და მიჰმართა ყოველ-გვარ ღონისძიებას, რაა, როგორმე ჩაექოლა და დაეფარა, რითაც კი შეიძლებოდა, ჩვენი შავი-ქვა,—მაშინდელ საზღვარ გარეთელ ჟურნალ-გაზეთები სავსეა სხვა-და სხვა წერილებით, სადაც ურიგოდ იხსენიებენ ამათვე შავ-ქვას, მთელს ჩვენს მხარეს და სხვათა შორის ამტკიცებენ, რომ მთვარითგან უფრო ადვილი მოსატანი იქნება მანგანეზი, ვიდრე კავკასიითგან, რადგანაც აქ, ავაზაკობა და კაცის კვლაც რომ არ იყოს გავრცელებული, ისეც საკმაოა ევროპიელისთვის, რაც იქ სხვა-და-სხვა სნეულებაა და განსაკუთრებით საოცარი ცივებაც, რომელსაც თუ არ ადგილობრივი, ისე, უცხო, ვერავინ აიტანს.

ამ გვარად აშინებდნენ მექარხნეებს. საჭირო იყო, რომ გადატანილიყო იქიდგან რამდენიმე გემი შავი ქვა და თავი ეჩინა ევროპის ბირჟაზედ. ამას, რასაკვირველია, დიდი ხარჯი უნდოდა და მე-კი უსაშუალო ვიყავი. ვისაც მივმართე, ყველამ მიკიჟინა. ჩვენი ხალხი საცინლად მიგდებდა და თუ, საქმით არა, სიტყვით მაინც ხელს მიშლიდა. ინტელიგენციაც ბანს აძლევდა. რამდენიმე წერილიც იყო დაწერილი, რომელშიაც მე მკიცხავდნენ. საზღვარ-გარეთელი კაპიტალისტები, ცოტა არ იყოს, შეშინდნენ... განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ფოთში მოჰკლეს ინგლისელი სვინსონი. რუსეთის ვაჭრები კავკასიას ერიდებოდნენ. იმათ მაშინ ეგონათ თითო შამილი არის ყოველს ოჯახშიო, და ჩვენებური ფულის პატრონი ვაჭრები, თქვენც მოგეხსენებათ, რომ საიჭვო საქმეს, თუ არ ნაღდს, ხელს არ ჰკიდებენ. ოქრო და ვერცხლი რომ მიგაქვსთ გირაოდ, მაშინაც-კი ეძნელებათ და ეეჭვებათ ქაღალდის ფულის შელევა: ასჯერ ასწონავენ და ათჯერ მაინც უსუნებდნენ იმ სათვალ-და-თვალო ნივთს ოქრო-ვერცხლისას, სანამ ეთანხმებოდნენ გირაოდ აღებას. ამისთანა ხალხი ახალს საქმეში როდი გაემბებოდა. ყველაზედ უფრო გამჭრიახი და გამბედავი მაშინდელ ვაჭრებში შაბუროვი იყო და იმანაც-კი შორს დაიჭირა. მე მაინც თავს არ ვანებებდი საქმეს...

ამასობაში ხანი გადიოდა. ცამეტი წელიწადი ვაცალე მაგ საქმეს, არც ხარჯი და არც შრომა არ დამიზოგავს შეძლებისა და გვარად. დიდის ხნის უნაყოფობამაც უფრო დაარწმუნა ხალხი ჩემს ახირებულობაზედ და ხშირად პირშიაც-კი დამცინოდნენ: „რასა იქთ შენ და შენი შავი-ქვაო“.—მეუბნებოდნენ. ბოლოს

## ბუნებით მტარვალი

ერთხელ დილა ადრიანად საიდუმლო პოლიციის კანცელარიაში მივიდა ვიღაც ახოვანი, ტანზაცმული კაცი და სთქვა პოლიციის უფროსის ნახვა მინდაო. შეიყვანეს უფროსთან.

— რა საქმე გაქვს, ჰკითხა პუტილინმა. უცნობმა კაცმა მუხლი მოიდრიკა და შევედრა:

— მიიღეთ მოწყალება ჯალათად დამნიშნეთ.

— ხომ არ გაგიჟდი?

— არა, ბატონო, სრულ ჭკუაზედ გახლავართ, მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ პატარაობიდგანვე ვოცნებობ როდისმე ჯალათად ვიყო.

— და მერე განა არ იცი, რომ ჯალათობა საზიზღარი ხელობაა? ჩვენ ჯალათად დიდ ავაზაკებსა ვნიშნავთ ხოლმე.

— ყველა ეგ კარგად ვიცი, მაგრამ მაინცა გთხოვთ ჯალათად მიმიღოთ.

— მერე რათა? ლუკმა პური გაგიწყდა?

— არა, კარგი ჯამგირი მაქვს. ერთ გრაფთანა ვარ მეეტლედ.

— და იცი კია, როგორ უნდა აწამო დამნაშავენი?

— ვიცი, და ეგ წამება ჩემთვის სასიამოვნო არის.

— მრიელ მაკვირვებ. შენისთანა უგულო კაცი ჯერ არ შემხვედრია.

— მე ასეთი დავიბადე.

— რა გაეწყობა, ვეცდები მიგიღოთ ჯალათად. ერთის კვირის შემდეგ მოდი.

გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ ეს კაცი მართლა ერთ გრაფთან მსახურებდა და ცხენებს ძლიერა სტანჯავდა. მაშინვე სამსახურიდგან დაითხოვეს. ერთის კვირის შემდეგ ეს კაცი ისევ მოვიდა პუტილინთან.

— ჯერ ადგილი არა გვაქვს ჯალათისა, ცოტა ხანს დაიცადე.

— ვერა, ბატონო ვერ დავიცდი. თუ ნებით არ მიმიღეთ, ძალათი მოგაცემინებთ მაგ ალაგსა.

— ეს როგორა?

— დიდს დანაშაულობას ჩავიდენ და ჯალათობას მაინც ვეღირსები.

— ნუ სულელობ. თუ შენ განზრახვას თავი არ დაანებე, შენ ქვეყანაში გაგზავნით.

— უფრო კარგი. იქ ქურდობას და კაცის კვლას დავიწყებ.

პუტილინი ვეღარას გახდა და ეს ბუნებითი მტარვალი დანიშნა ჯალათად.

## თეატრის მატიანე

—

ქუთაისი: პარასკევს, 3-ს ქრისტეშობისთვეს, აქაურმა ქართულმა დრამატიულმა დასმა წარმოადგინა ვ. გუნიას ხუთ-მოქმედებიანი დრამა „და-ძმა“. მონაწილეობას ჰღებულობდა წარმოდგენაში ჩვენი ნიჭიერი არტისტი ბ-ნი ალექსი-მესხიშვილი. ჩვენ ამ პიესის შესახებ არას ვიტყვით, რადგან მისი შინაარსი და მისი ღირსებაც ჩვენს საზოგადოებას კარგად აქვს შეგნებული და აწონილი. პიესამ საერთოდ რიგიანად და წესიერად ჩაიარა და საზოგადოებაც სრული კმაყოფილი და მადლიერი დაბრუნდა თეატრის დარბაზიდგან; ყველანი ჩინებულად და ხელოვნურად ასრულებდნენ თავ-თავიანთ როლებს. მეტადრე საზოგადოების ყურადღება მიიქციეს: ქ-ნმა ე. ს. მესხის ასულმა, ბბ. ალექსი-მესხიშვილმა, კ. ს. მესხმა, მალაქია ბოლქვაძემ და ვას. ბალანჩივაძემ. ნიჭიერმა და მშრომელმა ე. ს. მესხის ასულმა ყოველი მოქმედება ხელოვნურად, გრძნობით და ცოცხლად ჩაატარა, მეტადრე მეორე მოქმედებაში, როდესაც მარინე (ე. მესხის ასული) თავისს ძმას გაიოზ ფალავას (ალექსი მესხიშვილი) შეხვდება და მეოთხეში, როდესაც მარინე, დამსწრე მოხუცის ადამიას (მალაქია ბოლქვაძე) წამებისა და სიკვდილისა, თავ-ზარდაცემული და თვალცრემლიანი ევედრება გაბრაზებულს ოტია ჯოლიას (კ. მესხი) თავისის ძმის გაიოზ ფალავას დაზოგვას, შებრალებას, გადარჩენას და პასუხად სრულ გულ-ქვაობასა და ცბიერებას ჰხვდება, — ეს ადგილები ეფ. მესხის ასულმა ისე მშვენივრად და უნაკლულოდ დაგვისახა, წინ დაგვიყენა მისი სულის მოძრაობა, მისი უიმედობით და სინანულით დატყვევებული, დაძლეული გონება, რომ მაყურებლები სრულიად გაიტაცა.

ალექსი-მესხიშვილის თამაშს და მისს არტისტიულ ნიჭს ქება-დიდება აღარ უნდა, რადგან ამ ქება-დიდებამ სრულებით სამართლიანად მჭიდრო ნიადაგი მოიპოვა ყოველის ქართველის გულში.

არც კ. მესხმა დაიმსახურა ნაკლები ყურადღება ოტია ჯოლიას როლში, რომელიც თავითგან ბოლომდის ხელოვნურად ჩაატარა, მაგრამ ყველაზედ უფრო ძლიერად და ხელოვნურად ითამაშა ის ადგილი, სადაც ოტია მთვრალი, გართული იმ ფიქრებში, რომ მომავალში ის დიდებული შეიქმნება, სამეგრელოს ტახტზედ ავა, — იძინებს. თანდათან მეტად ღვინის დამონება, ძილის მოპარვა, არევა ლაპარაკისა, აზრისა და ბოლოს ღვინისაგან რამოდენიმეჯერ შეშფოთება, მაგრამ ბოლოს მაინც ძილი იმდენად ხელოვნურად, უზადოდ აღასრულა, რომ სიმართლისათვის ოდნავაც არ უღალატნია.

მოხუცის ადამიას როლი ბოლქვაძემ დიდის გრძნობით და სინამდვილით დაგვიხატა და ხშირადაც იყო დაჯილდოვებული საზოგადოებისაგან ვაშას ძახილით და ტაშის ცემით. იქ მაინც მეტად კარგი იყო, როდესაც თავის წამების წინ მარინეს აფრთხილებს, არიგებს და ევედრება წინ დახედულობას და დაკვირვებას.

გავიმეორებთ, წარმოდგენამ დიდად ასიამოვნა ჩვენი საზოგადოება და თვალსაჩინოდ დაგვიმტკიცა, რომ არა მარტო ოპერას, ოპერეტს და გარეშეთა წარმოდგენას შეუძლიან სიამოვნების მონიჭება და ისიც, რომ ჩვენი ქართული დრამატიული დასი თავის მეცადინეობითა და შრომით თანდათან უფრო წინ მიდის. ერთი-ღა დაგვშთენია: ვუნატროთ წარმატება, ჩვენი ყურადღება არ მოვაკლოთ მათ და შეძლებისა-და-გვარად ვეცადოთ მათი მეცადინეობა და შრომა დავაფასოთ, დავაჯილდოვოთ.

მენავე

## გასართობი

—

ერთხელ აბბატი ანდრე ქადაგებასა კითხულობდა და დიდად ჰკიცხავდა პრანჭია და მოკეკლუცე ქალებს. სხვათა შორის სთქვა, რომ ჩემთა მსმენელთა შორის ერთი დედაკაცია, რომლის ცუდი და უზნეო საქციელი გამომჟღავნებულია და მინდა დაგანახოთ, რომ დავარცხვინოთო.

— მაგრამ არა, არ დაგისახელებთ; ქრისტიანული გულ-კეთილობა არ მაძლევს ნებას... მაშ ნუ თუ თავაზი უნდა გავუწიო ბიწიერებასა? არა! ჩემს სკუთიას ვესვრი იმ დედაკაცს და ამითი დაგანახვებთ.

მოიხადა სკუთია, გაიქნია, ვითომ სროლა უნდოდა, და შესძახა:

— აი, ის უსირცხვილო ისაო!

ყველა ქალმა, ვინც-კი ეკკლესიაში იყო, შიშით თავი ჩაიღუნა და ოდნავ ჩაიკეცა, მე არ მომხვდესო. მაშინ მქადაგებელმა წამოიძახა:

— დიდებულო ღმერთო! მე მეგონა, აქ ერთი იყო მარტო, მაგრამ ეხლა-კი აშკარადა ვხედავ, რომ უმეტესი თქვენგანიო, ქალტაბონებო, არაფრითა სჯობნებია იმას, რომლის შესახებაც მე ვლაპარაკობდიო.

—

— აბა, სულიკო, მითხარიო, ეუბნებოდა დანიშნული ყმაწვილი კაცი თავისს საცოლეს: ოჯახის მოვლისა და პატრონობისა იცი რამე? აი, რამდენი ხანია თქვენსას დავდივარ, მაგრამ არ მინახავს, რომ სამზარეულოში შეგეხედნოს.

— რატომაც არ ვიციო, უპასუხა ყმაწვილმა ქალმა: შენს დროს რომ არ შევდივარ სამზარეულოში, ეგ იმიტომ-რომ შენთან ყოფნა მინდა; შენ აქ იყო და მე იქ გული გამიძლებს?

ამითი დასრულდა ეს ლაპარაკი. მეორე დღეს, დაინახა თუ არა ყმაწვილი კაცი კარებთან, გასათხოვარმა ქალმა მზარეულს დედაკაცს გასძახა:

— ვარდისახარ, საპონი შემოიტა, მწვანილი უნდა დავრეცხოო.

—

არაბული ანდაზები:

1) ორი ადამიანი ვერასოდეს ვერ იგემებს კმაყოფილებას: ის, ვინც ცოდნას ეძებს და კიდევ ის, ვინც სიმდიდრის მიებაშია.

2) სულელს ექვსი თვისება აქვს: უმიზეზოდ ჯავრობს; სისულელეს სჩმახავს; ყველას ერწმუნება; ჩქარ-ჩქარა უმიზეზოდ სახლს იცვლის; ზრუნავს იმის გამო, რაც იმისი საქმე სულაც არ არის, და მეგობარი მტრისაგან ვერ გაურჩევია.

3) ვინც იმედის ეტლით დადის, იმისი ამხანაგი სიღარიბეა.

4) ვისაც შენთან ბევრი ახალი ამბავი მოაქვს, იმას შენგანაც ბევრი გააქვს.

5) მოთმინება სიხარულის გასაღებია. მოუთმენლობა—სინანულისა.

## გამოსადეგი ცნობა

—

ყალბის ყავის გამოცნობა. საზოგადოდ ამბობენ, რომ სჯობია დახალული და დაფქვილი ყავა არ იყიდოთ, რადგან შიგ ათას რასმე ურევენ. ამ ნარევის შეტყობა ძალიან ადვილია. ამისათვის დანის წვერით აიღეთ დაფქვილი ყავა და ცივის წყლით სავსე ჭიქაში ჩაჰყარეთ. შეურეველი ყავა ზემოდგან მოიტივტივებს, ხოლო თუ ნარევია შიგ რამე, ის თანდათან დაილექავს. თუ წყალში შეურიეთ, ყავის ნაწილები ერთმანეთს არ მიეწებება და წყალს ოდნავ მისცემს ფერს ნარევის ნაწილები-კი—ციკორიისა, დამწვარის ტუხტისა, ხორბლისა და სხვისა—ერთმანეთს მიეწებება და წყალს მუქ ყვითლად შეჰღებავს.

რაც შეეხება მოუხალავის ყავის მარცვლებს, ყალბებს ჰღებავენ ხოლმე. შეღებილის გამოცნობა ადვილია, თუ ასეთს ყავას მდუღარე წყალი გადაასხით; წყალი სადებავის ფერს დაიჭერს. თუ ცოტა აზოტის სიმჟავეს მიუმატეთ წყალს, რომელშიაც ყავის მარცვლებია ჩაყრილი, შავს ლექს დაიჭერს, რაც აშკარა საბუთი იქნება იმისი, რომ ყავა ტყვიის მტკერშია შეღებილი. ასეთს საშუალებას ჰხმარობენ ხშირად, რათა უფრო მძიმე მოვიდეს ყავა წონაში და კარგი ფერი ჰქონდეს.

ხელოვნურადაც აკეთებენ ყავას. მაგალითებრ, გერმანიაში ძალიან იყიდება ყავა „კონგოდ“ წოდებული, რომელიც, როგორც გამოკვლევამ აღმოაჩინა, ერთგვარის ლობიოს მარცვალია და ყავასთან საერთო არა აქვს-რა. ამ ბოლოს დროს ყავას აკეთებენ სიმინდის მარცვლისაგანაც, რისთვისაც განსაკუთრებული მანქანებიც-კი არის მოგონილი.

ამ სიყალბის აღმოჩენა ძნელი არ არის. საკმარისია, რომ საცდელად ასეთი ყავა ჩვეულებრივს კოვზში ჩააგდოთ: თუ ნამდვილი ყავაა, მაშინვე ძირს წავა, თუ ყალბი—მცირეოდენს ხანს ჯერ ზემოდ იტივტივებს და შემდეგ ძირს ჩაეშვება. ამას გარდა, თუ მარილის სიმჟავე და ბერთოლეტის მარილი მოჰხვდა, ნამდვილი ყავა უფრო ჩქარა დაჰკარგავს ფერს, ვიდრე ყალბი.

# დეპეშა

4 დეკემბერი

**რომი.** კაბინეტი შესდგა: მინისტრ-პრეზიდენტად და შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნულ იქმნა კრისპი, გარეშე საქმეთა მინისტრად—ბარონი ალბერტ ბოლონი, ფინანსთა მინისტრად—სონნინო.

**პარიზი.** ინგლისს განზრახვა აქვს მიემხროს იმ სახელმწიფოთ, რომელთაც ანარქისტების წინააღმდეგ ღონისძიებანი უნდა მიიღონ. ამტკიცებენ, რომ საფრანგეთიც ინგლისს მიემხრობა. პალატამ დაამტკიცა ის

---

როცა იქნა, ვნახე ერთი რუსი, ნაფიცი ვექილი ბ-ნი ოსტრიაკოვი. იმან მოინდომა ჩემთან საქმის დაჭერა და შევეკარით ერთმანერთს პირობით. მე მაშინავე დავიწყე მუშაობა, რომ ორი მილიონი ფუთი დამემზადებინა და ჩამებარებია ოსტრიაკოვისთვის დროზედ. რადგანაც უფრო მეადვილებოდა, სალომე წერეთლის ქალის, ანდრონიკაშვილის ცოლის, მამულები ავიღე იჯარით და პირველად იქ დავიწყე მუშაობა. გლეხები მუშაობდენ, ქირას იღებდენ, მაგრამ მაინც კიდევ არ სჯეროდათ, თუ რამეში გამოსადეგი იყო შავი-ქვა. წლის ბოლოს ოსტრიაკოვი ჩამოვიდა კისლოვოდსკიდან მადნების სანახავად და თან მხლებლად წამოეყვანა ოც-და-ხუთი ყაზახი და ერთი აფიცერი, ფურმანი.

ჩვენში რომ ესენი ნახეს, მაშინ-კი პირველად დაფიქრდნენ, ალბად ეს შავი-ქვის ამბავი ხუმრობა აღარ უნდა იყოსო, და დაფაცურდნენ... მაგრამ დაფაცურდნენ ჩვენებურად, ე. ი. გამართეს დავი-დარაბა და საჩივრები, რომ ეს ადგილები, სადაც შავ-ქვასა თხრიან, ჩვენია და არა სალომე წერეთლის ქალისა. შემიკრეს გზები და დამზადებული შავი-ქვა აღარ გამატანინეს. ვიცოდი, რომ ყოველივე ეს ხრიკები იყო, მაგრამ რაღა უნდა მექნა? მივსწერე წერილი ადგილის პატრონს, შევატყობინე გარემოება და სხვათა შორის ვსთხოვე: „ერთის წლისა და ნახევრის იჯარა გამორთმეული მაქვს, ამდენი ხარჯი გამიწევია. დღეს გატანა მინდა, რომ იჯარით მყიდველს ჩავაბარო და მე-კი ასეთი საქმე მემართება-თქო“. პასუხად მომივიდა, რომ „მე თვითონ ჩამოვალ ამ დღეებში და გავასწორებ საქმეს“. თვენახევარი ვიცადე და ბოლოს კი მეორე წერილი მომივიდა: „რადგანაც თქვენ მეოთხე იჯარის ვადა გაუშვით და დანიშნულ დღეს ხვედრი ფული არ შემოიტანეთ, მეც ავიღე და მადნები ივანე მუხრან-ბატონს გადავეცი, რადგანაც ის მეტს მაძლევსო“ (მე კი წლიურად ხუთას თუმანს ვაძლევდი).

ყველას მოვიფიქრებდი, მაგრამ ამისთანა მოტყუებასა და ხრიკებს-კი არ მოველოდი. დავრჩი მშრალად რიყეზედ... ამდენმა წვალებამ, ცამეტის წლის ტანჯვამ და მოუსვენარობამ ტყუილ-უბრალოდ ჩამიარა.

ეს რომ აღარ მაკმარეს, ამოღებული და დამზადებული ქვაც-კი გამიყიდეს და დამრჩა ხელში მხოლოდ სუდები და პროცესები, რომელსაც, რასაკვირველია, მე სიამოვნებითა და ხალისით ვერ მივეტანებოდი. მოკლეთ რომ მოვჭრა სიტყვა, ამ საქმის დევნასა და წარმოებაში ცამეტის წლის განმავლობაში ათი-ათას თუმანზე მეტია ჩაყრილი, და ეს ხარჯი არც არავის გაუკვირდება, ვინც-კი იცის საქმე... ამისთანა დიდ საქმეს-კი არა, უბრალო და პატარა რამ საქმესაც დიდი ხარჯი და შრომა სჭირდება საზოგადოდ. სამაგალითოდ ავიღოთ გინდ ტყიბულის ქვანახშირი: მილიონებია შიგ ჩაყრილი; მისთანა კაცები, როგორც ნ. ნიკოლაძე, ნოვოსელსკი, კლეინი, მასლოვი, პრინცი, შაბუროვი, ალელოვი, წოვიანოვი და სხვანი თავს ევლებოდნენ და ევლებიან დღესაც!.. რკინის გზაც მთავრობამ საკუთრად გაუკეთა, მაგრამ დღესაც კიდევ ეგ საქმე ფეხზედ ვერა სდგას (თუმც მომავალი-კი კარგი აქვს). სჩანს, რომ საქმის გაკეთება ადვილი არა ყოფილა და შავი-ქვის საქმე-კი დიდი ხანია გაჩაღებულია და ქვეყანაც ავად თუ კარგად სარგებლობს!.. მართალია, მე-კი თან გადამიტანა ამ შავმა-ქვამ: დავიღუპე, მაგრამ ნუგეშად ის მაინცა მრჩებოდა და მრჩება, რომ ქვეყანა სარგებლობს!...

ყოველივე ეს, რაც რამე ვსთქვი, ცხადია—მართალი, ამის უარს ვერც მტერი იტყვის და ვერც მოყვარე!.. საბუთები ხელში მაქვს და, საბუთებიც რომ არა მქონდეს, განა მოწმეები ცოტანი არიან ჩვენს ქვეყანაში: ვისაც არ ხსომებია, თითონ იმ ინჟინერებს ჰკითხოს, რომელსაც ბ-ნი დეკანოზიშვილი ასახელებს თავის წერილში: სიმონოვიჩს, ბატევიჩს და საროკინს და ისინი დაამოწმებენ ჩემ ნათქვამს. მაშ რა საფუძველი ჰქონდა ბ-ნს მთა-მადნის ინჟენერს დეკანოზიშვილს, როდესაც სწერდა, რომ ჩვენ არ ვიცით პირველი ბარი ვინ დაჰკრაო, წერეთელმა თუ მერცენფელდმაო; მაგრამ გამოჩენით-კი არც ერთს არ გამოუჩენია, გარდა აბიხისა და სხვ.? მერცენფელდი ერთის წლის შემდეგ იმ ფურგონმა ჩამოიყვანა, რომელიც ოსტრიაკოვს ახლდა. ის მერცენფელდი ვახტერის პრიკაშჩიკი იყო და თავი არც მარგანეცის გამოჩენაზედ და არც მის წარმოებაზედ არ შეუწუხებია. ვაჭრად მოვიდა მზა-მზარეულზე, ისე, როგორც სხვები!...

აკაკი

(დასასრული იქნება)

კანონი, რომლის ძალითაც აკრძალული იქმნება ასაფეთქებელ წამლების გაკეთება და ბოროტ-გამზრახველთა ასოციაციები. საერთაშორისო მოლაპარაკებას საგნადა აქვს დაადგინოს, რომ ყველა სახელმწიფომ გამოაცხადოს, როცა რომელიმე ანარქისტი მივა ამ სახელმწიფოში და აგრეთვე გასცენ ხოლმე იმ სახელმწიფოს, საიდგანაც იქნება მოსული.

**ვენა.** სადამოუნო კონფერენცია მალე შეუდგება რუსეთის მთავრობის უკანასკნელ ნოტის განხილვას შესახებ სავაჭრო ხელშეკრულობისა.

5 დეკემბერი.

გუშინ გარდახდილ იქმნა ნიკოლოზის აკადემიის მთავარ შტაბის უფროსის გენერალ ლეერის 35 წლის პროფესორების იუბილეი; იუბილიარს პატივი სცეს მრავალმა დეპუტაციებმა. უპირველეს ყოვლისა წაკითხულ იქმნა დეპეშები მემკვიდრე ცესარევიჩისა, დიდთა მთავართა სერგეისა და ალექსის ალექსანდრეს ძეთა, ერცჰერცოგის ალმრეხედისა და სხვ. შემდეგ ლეერის თანაშემწემ ველიჩკამ სიტყვა წარმოსთქვა; ბოლოს მოვიდნენ დიდი მთავარი ვლადიმირ ალექსანდრეს ძე და სხვა დიდნი მთავარნი. დიდმა მთავარმა ვლადიმირ ალექსანდრეს ძემ გრძნობიერ სიტყვებით მიულოცა იუბილიარს; დიდმა მთავარმა კონსტანტინე კონსტანტინეს ძემ იუბილიარს სამეცნიერო აკადემიის სახელით მიულოცა; შემდეგ მობძანდა დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძე. მისალოცი სიტყვები წარმოსთქვეს ავსტრიისა, გერმანიისა, შვეციისა და საფრანგეთის სამხედრო აგენტებმა.

**პარიზი.** სენატმა უკამათოდ დაამტკიცა 800,000 ფრანკის კრედიტი პოლიციის გასაძლიერებლად და მაშინვე შეიკრიბა ბიუროში კომისიების დასანიშნად, რომელთაც მიენდობათ განხილვა პროექტისა შესახებ ასაფეთქებელ წამლებისა და ბოროტ-გამზრახველთა ასოციაციებისა.

6 დეკემბერი.

**პეტერბურგი.** Правит. Вѣстн. იუწყება: გაზეთების მიერ გავრცელებული ხმა, რომ საერთო აღწერა მთელს იმპერიის მცხოვრებთა მოხდება მომავალ წელს და შემდეგ ყოველ ათის წლის თავზედ, სხვა არა-იყოს-რა ჯერ უდროოდ გამოცხადებული ამბავიაო.

**ვენა.** Politische Correspondent იუწყება, რომ ისპანიის მთავრობას სურს საერთაშორისო ხელშეკრულობა მოხდეს ანარქისტთა წინააღმდეგ, მაგრამ ზოგიერთ სახელმწიფოთ ამ აზრს არ თანაუგრძნეს, განსაკუთრებით ინგლისმა, რომელმაც გადაჭრილი უარი განაცხადა ასეთ ხელშეკრულობაზედ. საფრანგეთიც ამავე აზრისაა.

7 დეკემბერი

**პარიზი.** შინაგან საქმეთა სამინისტრომ სია შეადგინა, 200-მდე უცხოელთა ანარქისტებისა და სოციალისტებისა, რომელნიც განდევნილნი იქნებიან საფრანგეთიდამ. ნახევარზედ მეტი ამ ანარქისტებში— გერმანელები და იტალიელებია.

**ბერნი.** შვეიცარიის საერო კრების საბჭომ ანარქისტების საწინააღმდეგო კანონის დადგენას აპირებს.

პეტერბურგის ბირჟა, 30 ნოემბ.

| | მყიდველისა. | გამყიდველისა. | გაყიდულისა. |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო | 7 5/8 | 7,64 | — ,, |
| ტამოჟნის კუპონები | 152 | 152 3/4 | — ,, |
| მანეთიანი ვერცხლის ფული | — , | — ,, | — ,, |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი | — ,, | — ,, | 245 1/4 |
| —მეორისა | | — ,, | 220 1/2 |
| 4% მესამე სესხისა | — ,, | — ,, | — ,, |
| სახელმწიფო თავად-აზნაურობის ბანკის მომგებ. ფურცელი | — ,, | — ,, | 190 |
| გირავნობის ფურცელნი ტფილისის ბანკისა: 6% | 100 1/2 | — ,, | — ,, |
| 5% | — ,, | 99 | — ,, |
| ქუთაისის ბანკისა 6% | 100 1/2 | — ,, | — ,, |
| 5% | — ,, | 99 | — ,, |
| 5% ობლიგაც. ტფილისის ქალაქის საკრედიტო საზოგადოებისა | 97 1/2 | — ,, | — ,, |

## რკინის გზის მიმოსვლა

ტფილისიდგან ბათუმს მიდის საფოსტო მატარებელი № 2 9 ს. 30 წ. დილ. და № 4 6 ს. 50 წ. სად.

ბათუმიდგან ტფილისს მოდის № 1 9 ს. 52 წ. სად. და № 3 12 ს. 25 წ დღ.

ტფილისიდგან ბაქოს № 3 მიდის 1 ს. 20 წ. დღ.

ბაქოდგან ტფილისს მოდის 5 ს. 50 წ. სად.

### ტფილისსა და განჯას შუა.

ტფილისიდგან განჯას მიდის 9 ს. 20 მ. სად.

განჯიდგან ტფილისს მოდის 1 ს. 30 წ. დღის.

ტფილისიდგან ხაშურს მიდის 3 ს. დღ. ხაშურიდგან ტფილისს 8 ს. 10 წ. დილ.

### მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ

ბათუმიდამ გადის:

ხუთშაბათობით: დღისით 12 საათზე მოკლე გზით, შეივლის ნოვოროსიისკში და კერჩში.

სამშაბათობით და შაბათობით: შორის გზით 2 ს. შუად. შეივლის ყველა ნავთსადგურში.

ბათუმში მოდის:

ღამის 12 საათზე სწორე გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

ოთხშაბათობით: დილით სწორე გზით ნოვოროსსისკით და სოხუმით.

პარასკეობით და ოთხშაბათობით: სად. შორის გზით, შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ფოთში მოდის:

საფოსტო და სახალხო ბათუმიდგან კვირა დილით, განთიადისას.

პარასკეობით: საფოსტო და სახალხო.

სამშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ოდესიდგან.

ხუთშაბათობით: დღისით სახალხო და საქონლისა ბათუმიდგან.

ფოთიდგან გადის:

პარასკეობით: ნაშუადღევის ორ საათზე საფოსტო და სახალხო ოდესაში და ყველა ნავთსადგურში შეივლის, დილის 5 საათზე.

ხუთშაბათობით: საფოსტო და სახალხო საქმის გათავების შემდეგ ბათუმში.

სახალხო და საქონლისა ბათუმში, სამშაბათობით, დილის 10 საათზე.

სახალხო და საქონლისა ხუთშაბათობით ოდესაში და ყველა ნავთ-სადგურში შეივლის.

საქონლისა და სახალხო გემზე II და III კლასის მოგზაურები მიიღებიან უსაგზლოდაც.

—


# განცხადებანი

ბ-ნ ტფილისის გუბერნატორის ნებართვით

**ქ. ტფილისში გავმართე „ცნობების შესაკრები კანტორა“ და წინდადაც ფული შევიტანე.** ამ კანტორაში შეიძლება ცნობების შეკრება სახლის დაქირავების შესახებ და აგრეთვე მზარეულისა, მოსამსახურისა, ძიძისა, მასწავლებელისა, მასწავლებელ-ქალისა, აღმზრდელ-ქალისა, მეეტლისა და სხვათა გამო, რომელნიც სამსახურში სადმე აპირებენ შესვლას. ვინც თავისს განცხადებას შემოიტანს ადგილის მსურველთაგანი 30 **კაპ. გადაიხდება,** ვინც ამ კანტორის შემწეობით დაიქირავებს მსახურს—50 კაპ.

**კანტორა იმყოფება** სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის ქარვასლაში, **ლანკოს** მაღაზიასა და ცენტრალურ წიგნთ-საცავის გვერდით. **სხვა ქალაქებიდგან** ვთხოვთ ამ ადრესით მოგვმართონ. კანტორა ღიაა დილის 9-დგან ნაშუადღევის 3 საათამდე და საღამოს 4-დგან 7 საათამდე. (5—3)

---

## კბილის ექიმი
# ა. ი. ორბელი

სოლოლაკზედ, საკუთ. სახლებში №№ 14—16

ავადმყოფებს მიიღებს:

დილით 8-დგან 12 საათამდე.

საღამოთი 4-დგან 6 საათამდე.

**კვირა-უქმე დღეებში**

დილის 8 საათიდგან ნაშუადღევის 2 საათამდე. (250—133)

---




ამხანაგობა „ჰიგიენა“

ლიზოლინი

ცუდის სუნის მომსპობი წამალი

ნება-დართულია პეტერბურგის ექიმთა გამგეობისაგან. ისყიდება ყველა საუკეთესო აფთიაქის მაღაზიებში. ბლომად დაკვეთა შეიძლება

პეტერბურგის

სატეხნიკო ქიმიურ ლაბორატორიისაგან

С.-П.-Б. площ. Александринск. театра, 9.
Москва, Никольская, д. Шереметьева.
Варшава, Новый Свѣтъ, 37.

---




ИЗВѢСТНОЕ СВОИМЪ КАЧЕСТВОМЪ
**ГЛИЦЕРИНОВОЕ МЫЛО**
и
ВСЕВОЗМОЖНЫЕ БЛАГОВОННЫЕ
и
**КОСМЕТИЧЕСКІЕ ТОВАРЫ**
ФАБРИКИ
**БРОКАРЪ и Ко**
можно получать во всѣхъ лучшихъ магазинахъ
РОССІЙСКОЙ ИМПЕРІИ.

---

ЧИСТКА и ГИГІЕНА ЗУБОВЪ

**ЗУБНЫЯ СРЕДСТВА**
ЗУБНАГО ВРАЧА
**АДЕЛЬГЕЙМЪ**
МОСКВА, КУЗНЕЦКІЙ МОСТЪ, Д. БР. ДЖАМГАРОВЫХЪ
СКЛАДЫ ВО ВСѢХЪ ГОРОДАХЪ РОССІИ

ГЛАВНЫЙ СКЛАДЪ и КОНТОРА
БОЛЬШАЯ ДМИТРОВКА СОБ. Д.

---

# „ივერია“

ამ 1893 წელს გამოვა ყოველ-დღე, გარდა იმ დღეებისა, რომელნიც ზედ მოსდევენ კვირა-უქმეებს. ფასი გაზეთისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 თვით | 10 მ.—კ. | 6 თვით | 6 მ.—კ. |
| 11 ,, | 9 ,, 50,, | 5 ,, | 5 ,, 50,, |
| 10 ,, | 8 ,, 75,, | 4 ,, | 4 ,, 75,, |
| 9 ,, | 8 ,, —,, | 3 ,, | 3 ,, 50,, |
| 8 ,, | 7 ,, 25,, | 2 ,, | 2 ,, 75,, |
| 7 ,, | 6 ,, 50,, | 1 ,, | 1 ,, 50,, |

საზღვარ-გარეთ დაბარებული ელირება 17 მან. მთელის წლით. სოფლის მასწავლებელთ „ივერია“ მთელის წლით დაეთმობათ 8 მან. ტფილისის გარედ მცხოვრებთა უნდა დაიბარონ გაზეთი შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинской газеты „ИВЕРІЯ“.

თუ ტფილისში დაბარებული გაზეთი ტფილისს გარეშე ადრესზედ შესცვალა ვინმე, უნდა წარმოადგინოს რედაქციაში ერთი მანათი; სხვა ყოველის ადრესის შეცვლაზე—ორი აბაზი.

თუ თვის განმავლობაში დაიბარა ვინმემ გაზეთი არა მთელის წლით, მას მხოლოდ შემდეგის თვის პირველ დღიდგან გაეგზავნება. განცახადება მიიღება გაზეთის რედაქციაში.

**ფასი განცხადების დაბეჭდვისათვის:**

ა) მეოთხე გვერდზედ თითო ჯერ სტრიქონი—8 კაპ., პირველზე—16 კაპ. ბ) სრული უკანასკნელი გვერდი—30 მანათი, ხოლო პირველი გვერდი—60 მანათი. რიცხვი სტრიქონებისა გამოიანგარიშება იმის კვალობაზე, რამდენს ადგილსაც დაიჭერს 25 ასო გაზეთის ტექსტისა.

ხელ-ნაწერები, წერილები და კორესპონდენციები რედაქციის სახელობაზედ უნდა გამოიგზავნოს. ხელ-ნაწერები, ან საგაზეთო წერილები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებულ, ან შესწორებულ იქნება. ხელ-ნაწერს, რომელიც დაბეჭდილი არ იქნება, თუ ერთის თვის განმავლობაში პატრონმა არ მოიკითხა, მერე რედაქციას ველარ მოსთხოვს.

არა-გვარს მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელ-ნაწერებისა და წერილების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოსალაპარაკებლად რედაქცია თავისუფალი იქნება ყოველ-დღე, კვირა-უქმეებს გარდა, ათ საათიდგან პირველ საათამდე და საღამოობით 6-დგან 7 1/2 საათამდე.

რედაქცია იმყოფება: კუკიაში, ნიკოლოზის ქუჩაზე, № 21.

---

1894 წლის იანვრიდგან

გამოვა ყოველ თვიური ქართული ჟურნალი

# „მოამბე“

შემდეგის პროგრამმით:

I სიტყვა-კაზმული მწერლობა ორიგინალი და ნათარგმნი რუსულიდან და უცხო ენებიდან: რომანები, მოთხრობები, ამბები, ლექსები, პოემები, დრამატიული თხზულებანი და სახალხო სიტყვიერების ნაწარმოები.

II ისტორია, გეოგრაფია, არქეოლოგია, ბიოგრაფია შესანიშნავის კაცებისა, საერო მეურნეობა, მართლ-მსაჯულება, შესანიშნავი სამეცნიერო პროცესები

III სასოფლო მეურნეობა: სასოფლო მეურნეობისა და მრეწველობის შესახებ სტატიები და კორესპონდენციები.

IV კრიტიკა და ბიბლიოგრაფია ქართულის, რუსულისა და უცხოეთის სალიტერატურო და სამეცნიერო თხზულებათა შესახებ.

V ქრონიკა: ახალი ამბები შინაურის და უცხო ქვეყნების ცხოვრებიდან.

VI ნარევი.

VII განცხადებანი.

**ფასი ჟურნალისა გაგზავნით:**

ერთის წლით—10 მან., ექვსის თვით—6 მ., სამის თვით—4 მ.

ჟურნალში მონაწილეობას მიიღებენ:

აკაკი, ნ. ავალიშვილი, არაგვისპირელი (ფსევდონიმი), ი. ბაქრაძე, კ. ბაქრაძე, ბაჩანა (ფსევდონიმი), ეკ. გაბაშვილისა, ი. გოგებაშვილი, დონ-იაგო (ფსევდონიმი), დუტუ მეგრელი (ფსევდონიმი), დიმ. ერისთავი, ვაჟა-ფშაველა (ფსევდონიმი), გრ. ვოლსკი, თავისუფალი სვანი (ფსევდონიმი), ექ. თაყაიშვილი, გ. იოსელიანი, დ. კარიჭაშვილი, კირ. ლორთქიფანიძე, გ. მაიაშვილი (ფსევდონიმი), პროფესორი ნ. მარრი, სოფ. მგალობლიშვილი, მეველე (ფსევდონიმი), მელანია (ფსევდონიმი), პროფესორი პ. მელიქიშვილი, ი. მესხი, ნ. მთვარელიშვილი, შ. მღვიმელი (ფსევდონიმი), ა. ნანეიშვილი, ი. ნიკოლაიშვილი, ნ. ნიკოლაძე, ე. ნინოშვილი (ფსევდონიმი), ნ. ორბელიანისა, პროფესორი ვ. პეტრიაშვილი, თ. რაზიკაშვილი, გ. საძაგლიშვილი, პ. უმიკაშვილი, ნ. ურბნელი (ფსევდონიმი), ი. ფერაძე, ა. ფრონელი (ფსევდონიმი), ან. ფურცელაძე, ს. ღოღობერიძე, მ. ყიფიანი, ს. ყიფიანი. გრ. ყიფშიძე, ი. ჩიქოვანი, ცახელი (ფსევდონიმი), ანას. წერეთლისა, გ. წერეთელი, ილ. ჭავჭავაძე, ა. ჭიჭინაძე, ა. ხახანაშვილი, მ. ხელთუფლიშვილი, ი. ხონელი (ფსევდონიმი), ნ. ხუდადოვი, ს. ხუნდაძე, ა. ჯაბადარი, ი. ჯაბადარი, მ. ჯანაშვილი და სხვანი.

ხელის მოწერა მიიღება თვით რედაქციაში, რომელსაც უნდა მიჰმართოს შემდეგის ადრესით: Тифлисъ. Въ редакцію грузинскаго журнала „Моамбе“.

ჟურნალში დასაბეჭდი წერილები და სტატიები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს. მიღებული ხელნაწერები, თუ საჭიროება მოითხოვს, ან შემოკლებული და ან შესწორებული იქმნება. ხელნაწერები, რომელიც არ დაიბეჭდება, პატრონებმა რედაქციაში უნდა მოიკითხონ ერთის თვის განმავლობაში; მერე კი ველარ მოსთხოვენ რედაქციას. არავითარ მიწერ-მოწერას დაუბეჭდელ ხელნაწერების შესახებ რედაქცია არა ჰკისრულობს.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, პირველ საათიდან სამ საათამდის ნაშუადღევს.

რედაქცია იმყოფება ლორის-მელიქოვის ქუჩაზედ, № 13. ადრესი ტელეგრამებისათვის: Тифлисъ, Редакція «Моамбе».

რედაქტორი
ალექსანდრე ჭყონია

გამომცემელი
ნიკოლოზ ღოღობერიძე


Доз. ценз. Тифлис 7-го Декабря 1893 г.

სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა.

რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე